ქართველი ევროპელია თუ აზიელი?

ეს საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს ათასწლეულთა მიჯნაზე, როდესაც საქართველოსთვის აქტუალური ხდება ევროპაში ინტეგრირების პერსპექტივა.

ევროპული ცივილიზაცია პირველ რიგში ებრაულ-ქრისტიანულ ტრადიციაზე დაფუძნებული ცივილიზაციაა. ეს კავშირი გამოიხატება არა მხოლოდ ევროპელის კულტურაში ზოგადად, არამედ მთელ მის ყოველდღიურობაში, მის სამეურნეო საქმიანობაში, სოციალურ სფეროში, ცნობიერებასა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის ნებისმიერ დეტალში. ევროპელის ცხოვრება განმსჭვალულია ებრაულ-ქრისტიანული ნორმებით და ტრადიციით.

არა მარტო პიროვნება, არამედ სახელმწიფოც მოქცეულია ამ გავლენის ქვეშ. არა კაც ჰკლა, არ იქურდო, არ იმრუშო და მოსეს სჯულის სხვა ცნებები იმგვარადაა ინტეგრირებული სახელმწიფოთა კანონმდებლობებსა და წესებში, რომ მოქალაქე ვერც კი ახდენს მათ ცნობიერ რეგისტრირებას. საქმე ეხება არა მხოლოდ გეოგრაფიულად ევროპაში მდებარე ქვეყნებს, არამედ ბევრად უფრო ფართე არეალს. გავიხსენოთ, რომ ქრისტეფორე კოლუმბს ამერიკის კონტინენტზე გადასხდომისას ქრიტეს წმინდა ჯვარი ეპყრა ხელთ. საუბარია ე.წ. დასავლეთურ დემოკრატიულ ქვეყნებზე, რომელთა ტრადიციაც ქრისტიანობას ეყრდნობა. დღეს ეს ქვეყნები ითვლებიან მოწინავედ მსოფლიოში, რადგანაც ჩვენს ეპოქაში წარმატების საზომი ეკონომიკური კეთილდღეობა და ტექნოლოგიური მიღწევებია.

განსაკუთრებული როლი ევროპული ცნობიერების ჩამოყალიბებაში და ევროპული ყაიდის ქვეყანათა ეკონიმიკურ და ტექნოლოგიურ წარმატებაში სწორედ ქრისტიანობას მიუძღვის. შეიძლება ითქვას, რომ ევროპული ცივილიზაცია მკვიდრ ქრისტიანულ საძირკველზე დგას. მხოლოდ ქრისტიანობის გზით გახდა შესაძლებელი იმ საზოგადოებრივი და ეკონომიური სტატუსის მიღწევა, რომელიც დღეს დასავლეთშია გაბატონებული.

ეთიკურ ბურჯთაგან რომლებიც ქრისტიანობამ ევროპას შეუყენა, ალბათ უმნიშვნელოვანესი გოლგოთის იდეაა. გოლგოთა ქრისტეს მიწიური არსებობის კულმინაციაა. გოლგოთის აქტში გამოსჭვივის ქრისტეს ერთერთი უმნიშვნელოვანესი უწყება კაცობრიობისადმი: ტანჯვის გზით ზეცისაკენ! ვია დოლოროზა - ჯვრის თრევის გზაა. ესაა ქრისტეს გზა, რომელიც თავის მხრივ ძველ ბიბლიურ წყევლას ეყრდნობა: "ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი. . ." (მოსე 1, 3/19). ყოველ ჩვენგანს თავისი ჯვარი აქვს სათრევი და სატარებელი. ქრისტიანული ეთიკა მოგვიწოდებს: ატარე შენი ჯვარი, გაისარჯე, შექმენი, იშრომე! ის, რასაც ქრისტიანობა ამით გვამცნობს, ევროპის ბოლო ორი ათასწლეულის გზაა. მხოლოდ გაჭირვების გადალახვას შრომითა და სიბეჯითით მივყავართ გამარჯვებისკენ.

ამის საპირისპიროდ, ვთქვათ ჰინდუიზმი, არ მოუწოდებს თავის მრევლს აქტიური ქმედებისაკენ; აქ ხსნის გზა საკუთარ თავში ჩაღრმავება და ამ გზით ღვთაებასთან მისვლაა. ბუდიზმის ერთერთ განშტოებას, - ძენს საერთოდ მიაჩნია, რომ რაიმეს კეთება უკვე ცოდვის ჩადენაა. ამგვარი სულიერი წეს-განწყობით დასავლეთური ტექნოლოგიური ცივილიზაციის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა.

შრომის და შემოქმედების პათოსითაა გამსჭვალული მთელი ქრისტიანული მოძღვრება. ის, რაც არაკეთილსინდისიერი ან არაკანონიერი გზით სარჩოს მოპოვებასთანაა დაკავშირებული, - ქრისტიანული ეთიკით მიუღებელია. მაგალითად ყაჩაღობით ან ადამიანის მოტაცებით ფულის შოვნა, რაც ესეოდენ გავრცელებული მოვლენაა ჩვენსა და ზოგიერთ ჩვენს მეზობელ ხალხებში, არანაირად არ უთანხმდება ქრისტიანობას.

ქართველის კონტინენტალური დისლოკაციის საკითხის განხილვისას აუცილებელია მისი შრომისა და გარჯისადმი დამოკიდებულების გათვალისწინება. ქრისტიანობა მხილოდ ტაძარში სიარულს და პირჯვარის წერას კი არა, მეტს, - მთელი ცხოვრების წესს გულისხმობს.

გარდა დამოკიდებულებისა შრომისა და გარჯისადმი ევროპელისათვის დამახასიათებელია კიდევ ერთი რამ, რაც მას სხვისაგან გამოჰყოფს და მის ცნობიერებას განაპირობებს.

ევროპელის "საყოფაცხოვრებო" ცნობიერება ორ საყრდენზე დგას. პირველი თავისუფლებისკენ დაუცხრომელი ლტოლვაა, მეორე კი პასუხისმგებლობის განცდა. ეს ორივე რამ თვით ადამიანშია, პიროვნებაშია და არა მის გარეთ.

ევროპელი ცდილობს თავისუფალი იყოს. იგი მზადაა თავი გაწიროს ამ თავისუფლებისათვის, რისი მაგალითებიც უხვადაა ისტორიაში. მოპოვებულ პიროვნულ თავისუფლებას ევროპელი ძვირად აფასებს და არაფერზე გაცვლის. ის, რაც პირადია, პიროვნებისაა, იქნება ეს უფლება, ქონება თუ ურთიერთობა, - შეუვალია. თავის-უფლება, როგორც ". . . ჭეშმარიტი და ყოვლად განუვრდომელი მტკიცედ პყრობაი, . . ." (სულხან-საბა) საკუთარი თავისა, უმაღლესი ფასეულობაა დასავლეთის საზოგადოებაში. ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზული კამპანია მახსენდება, რომელიც 70-იან წლებში გაუმართა კრემლმა ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელ სახელმწიფო მდივანს ალექსანდრე ჰეიგს. თურმე ჰეიგს ეთქვა რომ "არსებობსო მშვიდობაზე მნიშვნელოვანი რამ". . . მაშინ მშვიდობა კრემლის მიერ ძირითად ამოცანად იყო მიჩნეული. ამიტომაც კომუნისტები ჰეიგს შარსა სდებდნენ: "აი, კაციჭამია ჰეიგი! მას ომი წყურია, თორემ მშვიდობაზე მნიშვნელოვანი რა უნდა იყოსო?" კრემლი, რასაკვირველია მაიმუნობდა და ჰეიგის ფრაზას ბოლომდე არ გადმოგვცემდა. სინამდვილეში ამერიკის სახელმწიფო მდივანი თავის აზრს დაახლოებით ასე აყალიბებდა: არისო მშვიდობაზე მნიშვნელოვანი რამ, ეს

ჩვენი თავისუფლებაა და თუკი კომუნისტები ჩვენს დამონებას შეეცდებიან ან დავიცავთ ჩვენს თავისუფლებას ან დავიხოცებითო.

პიროვნების თავისუფლება ყველა ევროპული ტიპის სახელმწიფოს კანონმდებლობაშია დაფიქსირებული. საერთაშორისო პოლიტიკაში ეს ის ქვაკუთხედია, რომელზეც აცოცდებიან ხოლმე დასავლეთელი პოლიტოკოსები, რომ თითი დაუქნიონ რუსებს, ჩინელებს, სპარსელებს და სხვა არაევროპელებს. ეს იმიტომაც ხდება რომ არცერთი ამ უკანასკნელთაგანი არ განეკუთვნება ქრისტიანული ტიპის ცივილიზაციას.

თავისუფლება მედალის მხოლოდ ერთი მხარეა.

ჩემი თავისუფლება, რომელიც ასე ძვირფასია, მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება. მე არ მაქვს საზოგადოებაში უფლება, ვიყო შეუზღუდავად თავისუფალი. მე არ მაქვს უფლება ვიღრიალო, თუ ახლომახლო ადამიანებს სძინავთ. მე არა მაქვს უფლება დავიკმაყოფილო ბუნებრივი მოთხოვნილებანი საზოგადოებრივ ადგილებში, მე არა მაქვს უფლება ვაკეთო რაიმე, რაც სხვა ადამიანებს შეუშლის ხელს და შეზღუდავს მათ თავისუფლებას. მაშინაც კი, როცა მარტო ვარ და ვერავინ მხედავს. მე უნდა ვიგულისხმო, რომ როგორც კი მე ზიანს მივაყენებ ვინმეს, ყოველთვის მოიძებნება ვინმე მესამე, რომელიც მე მომაყენებს ზიანს. ეს დამოკიდებულება აქსიომად გადაიქცა: ნუ უსურვებ სხვას, რასაც შენს თავს არ უსურვებ! ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის თქმით თავისუფლებას თანა სდევს პასუხისმგებლობა. ადამიანმა პასუხი უნდა აგოს ქმედებაზე, რომელიც გამომდინარეობს მის მიერ მოხდენილ არჩევანიდან. როდესაც ვირჩევ საქციელს, უნდა კიდეც მახსოვდეს, რომ აქედან გამომდინარე შედეგებზე პასუხისმგებლობაც მაწვება კისერზე.

ეს ყოველთვის ასე არ იყო. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება ურთულესი პროცესია. ევროპა არ იყო ყოველთვის მოქალაქეთა სამკვიდრო. აქაც მრავლად იყვნენ, თუნდაც ამ ათეულობით წლის წინ, პირსისხლიანი ტირანები და დიქტატორები, რომელთათვისაც თავისუფლება აბსტრაქტული და შორეული ცნებაა. ევროპამ შეძლო გადაელახა წარმოქმნილი წინააღმდეგობანი და ბოლო რამოდენიმე ასეული წლის ბრძოლისა და წვალების შედეგად მეოცე საუკუნის დასასრულისათვის შეერწყა და გაეერთიანებინა ზემოთ დასახელებული ორი წინააღმდეგობრივი საწყისი: თავისუფლება და პასუხისმგებლობა. ეს ორი რამ იმდენადაა ერთურთთან გადაჭდობილი, რომ ევროპელისათვის ცალცალკე ვერც გაიაზრება. ჯორჯ ბერნარდ შოუს ისიც კი აქვს ნათქვამი, რომ თავისუფლება და პასუხისმგებლობა ერთი და იგივე რამ არისო. თავისუფლება არ არსებობს პასუხისმგებლობის გარეშე და პირიქით, - იქ სადაც პასუხისმგებლობაა, აუცილებელია თავისუფლება. დასავლეთევროპული ტიპის ქრისტიანულ ტრადიციაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ ამგვარი გაერთიანების გზით შეიძლება ჩამოყალიბდეს. სხვა გზა სამოქალაქო საზოგადოებისაკენ არ არსებობს. ამ საზოგადოების ძირითადი ელემენტი თავისუფალი და პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქეა და არა ოჯახი, მრევლი ან პირველადი პარტიული ორგანიზაცია. ესაა პიროვნება, რომელმაც შეძლო საკუთარ თავში ორი საწყისის, - თავისუფლებისა და

პასუხისმგებლობის შერწყმა. ამგვარი პიროვნება ცდილობს მაქსიმალურად იყოს თავისუფალი და ამავე დროს გაუწიოს ანგარიში სხვებს. იგი მზადაა აიღოს თავზე პასუხისსგებლობა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე, მაგრამ თავისუფალი იყოს არჩევანში. როგორც მოქალაქემ, მან იცის თავისი უფლება-მოვალეობა.

მკითხველს ალბათ აზრი გაუჩნდება, რომ ყოველივე, რაც ზემოთ ჩამოითვალა, აზიელსაც არანაკლებ ახასიათებს. რასაკვირველია, თავისუფლებისადმი სწრაფვა და პასუხისმგებლობა არა მხოლოდ ევროპელთა მონოპოლიაა. საქმე იმაშია, რომ ბევრ სხვა ერს და მათ შორის ქართველთ ჯერ ვერ მოგვიხერხებია ამ ორი ტენდენციის ერთმანეთთან შერწყმა. ჩვენ ამით ძალზე ვგავართ ჩვენს მეზობელ რუსებს, რომელთათვისაც თავისუფლებაცა და პასუხისმგებლობაც ექსტრემუმად, გადამლაშებულადაა დამახასიათებელი. თუკი თავისუფლება ექსტრემუმს აღწევს იგი სიგიჟეში გადადის. გადაჭარბებული, ექსტრემუმამდე მისული პასუხისმგებლობა მონობაა. მე ან გიჟი ვარ ან მონა. მე შემიძლია ვაწარმოო დანაშაულებრივი ომი და არ ვაგო პასუხი, შემიძლია მოვექცე ადამიანებს, როგორც ნივთებს და სინდისმა არ შემაწუხოს, შეიძლება გავილეშო და ქუჩაში ბუჩქის ძირას დავეგდო, "ვიგრიალო," ვიღრეო და ყველა, ბოდიში და, ფეხებზე მეკიდოს. მე შემიძლია ვხარჯო მილიონები და მშვიდად ვუცქერდე დამშეულ ბავშვებს. მოკლედ, მე შემიძლია მოვიქცე უპასუხისმგებლოდ. როდესაც ჩემში მონა ძალობს, მე შემიძლია უფლება მივცე ნებისმიერ ვიგინდარასა და უვიცს მიხელმძღვანელოს, მომატყუოს, დამჩაგროს. მე შემიძლია 25 წელი ციხეში ვიჯდე და მთავრობას ამისათვის მადლობა გადავუხადო. მე შემიძლია ავიტანო ჩემი ღირსების ნებისმიერი შელახვა და მორჩილად ვიდგე რიგებში, მონა ვიყო. ეს ის მონაა, რომლის გამოწურვასაც ცდილობდა ჩეხოვი წვეთწვეთად. მოკლედ, მე არ ვიქცევი, როგორც თავისუფალი ადამიანი.

ამგვარი ექსტრემუმებით სამოქალაქო საზოგადოების აშენება შეუძლებელია. როდესაც მოქალაქე ჯერ არ ჩამოყალიბებულა, ძნელია შექმნა მოქალაქეზე დაფუძნებელი სისტემა. ასეთ საზოგადოებას კანონის დაცვისათვის ყოველ ორას მეტრში პოლიციელი უნდა ჩაუყენო. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ კანონის მატარებელი, მისი დამცველი, - მოქალაქე არ არსებობს. ვინც დასავლეთ ევროპაში ყოფილა, თვალში მოხვდებოდა, რომ პოლიციელს ქუჩებში ძნელად შეხვდება კაცი. ეს იმიტომ ხდება, რომ კანონის დამცველი და გამტარებელი პირველ რიგში მოქალაქეა და მერე პოლიცია. კანონი დასავლეთ ევროპაში მოქალაქეთა კანონია და არა უსახური ზემდგომების მიერ ნებისმიერად თავს მოხვეული წესრიგი, რომელსაც დარღვევა უნდა.

როდესაც ქართველის ევროპელობასა ან აზიელობაზე ვმსჯელობთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ, თუ როგორ ახერხებს იგი თავისი უფლება - მოვალეობებით სარგებლობას; როგორი დინამიკაა მის ცნობიერებაში თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის დამყარებული.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთევროპულ ქრისტიანულ ყაიდაზე სახელმწიფოს მოწყობა არ გახლავთ საერთოდ სახელმწიფო მოწყობისა და კერძოდ ეკონომიური წარმატების ერთადერთი გზა. არსებობენ ჩინეთი, რუსეთი, სპარსეთი, და თუნდაც იაპონია

ან სამხრეთ კორეა. ბოლო ორ ქვეყანას არ გააჩნია ევროპული ტიპის სამოქალაქო საზოგადოება, მაგრამ ეკონომიკა კარგად უმუშავებს. ევროპული ქრისტიანული გზა მათთვისაა გამართული და გამართლებული, ვინც თავს ამ კულტურასა და ტრადიციას აკუთვნებს და ცდილობს ამ გზით იაროს.

აქ უნდა ვაღიარო, რომ არ ძალმიძს სათაურში გამოტანილ შეკითხვაზე ერთგვაროვანი პასუხის გაცემა. ალბათ ჯობია მკითხველმა თვითონ გაიაზროს, თუ რომელ კონტინენტს მიაკუთვნებს თავს, მე კი ასი წლის წინანდელი ციტატით მინდა დავამთავრო, რომელიც დიდ ილიას ეკუთვნის: "ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა - კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. . . ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე."

1999 წლის ნოემბერი